

დადგენილება №51/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში უმაღლესებს და პროგრამებს შორის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე გარე და შიდა მობილობის შესახებ

დადგენილება №51/2020, 22 ივლისი, 2020

დადგენილება №51/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში უმაღლესებს და პროგრამებს შორის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე გარე და შიდა მობილობის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 16 ივლისის N08 სხდომის ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივლისის N26 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე უმაღლესებს შორის (გარე) მობილობა.
2. გამოცხადდეს ერთი უსდ-ს ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამებს შორის (შიდა) მობილობა
 - ა) „მუსიკა და დღევანდელი“ (მუსიკის ტექნოლოგია) – 2
 - ბ) „მუსიკა და დღევანდელი“ (მუსიკის ჟურნალისტიკა) – 1
 - გ) „კომპოზიცია“ – 1
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

Zmjs.